ოქმი:**ო63.63212523**
თარიღი:**09/09/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 16

ქ. სამტრედია. 6 სექტემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 6 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი,

ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, ვაჟა სტურუა,

ზაზა ადეიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა (ონლაინ ჩართვა), ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია,

დავით ნიკოლეიშვილი, ავთანდილ სტურუა, ალექსანდრე ჯვარშეიშვილი, კამო კანდელაკი,

აკაკი მინაშვილი (ონლაინ ჩართვა).

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების ბუღალტერი, ნინო რუხაძე.

2. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მ/შ,

ირაკლი გეგეშიძე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი,

ბეჟან გეგეშიძე.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი ხაჟალია.

7. შპს ,, სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი,

ნათია იობაძე.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

10. ტელე კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვებიან: ვახტანგ დუნდუა და აკაკი მინაშვილი.

მინდა შეგახსენოთ ერთი რამ, გარკვეული დროა გასული, რაც კოვიდი მთელი ქვეყნის მასშტაბითაა გავრცელებული. თქვენთა ერთად, საკრებულოს ასეთი ინიციატივა არსებობს ,,სიცოცხლე სიცოცხლისათვის''. ეს ჩვენი ვალია და საჭიროა საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. გისურვებთ წარმატებებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ვ.სტურუა/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ვ.სტურუა/

3. ,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ვ.სტურუა/

4. 2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : მ. უღრელიძე /

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მ/შ ი. გეგეშიძე/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: ნატალია მანჯგალაძე/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბეჟან გეგეშიძე/

9. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის **N:12-63212222-63** 10.08.2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივლისის თვის შემოსავალმა შეადგინა 10512,2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 74.8%-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 10423,4

ათასი ლარი, რაც ივლისის თვის გეგმის 74.4 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ.საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 5140,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 90.5 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 60,7 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 60.7 %-ით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის **N:12-63212388-63** 26/08/2021 წ. წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთინებას 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, კვების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 10.0 ათ.ალარით, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 3.9 ათ.ლარით, სულ 13.9 ათ.ლარით, შესაბამისად ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში თანხა გაიზარდა 1.0 ათ.ლარით, თხევადი აირის ხარჯის თანხა 3.0 ათ.ლარით, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლის თანხა 0.5 ათ,ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში თანხა გაიზარდა 1.4 ათ.ლარით, შრომითი ხელშეკრულების ხარჯის მუხლში თანხა 8.0 ათ.ლარით, სულ 13.9 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტოს საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N: 62-

622123887 26/08/2021 წ. წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.ა(ი).პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლში თანხა მცირდება 4.10 ათ. ლარით და შესაბამისად არასაცხოვრებელი შენობების მუხლში თანხა იზრდება 4.10 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტოს საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,2021 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **1.** შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ',' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში.

2. ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულების დანართი №1 (სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

						საპროექტო-სახარჯ

№	ადმინისტრაციული ერთეული / სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა	თანადაფინანსება	პროექტის ღირებულება	თა ღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება მთლიანი თანხის - 2,5%)
1	2	3	4	5	6	7
1	სოფელი ბაში	გარე განათების მოწყობა	20 000		19387	488
		სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია			0	125
2	სოფელი იანეთი	სოფელში გარე განათების მოწყობა	20 000	20 000	39000	1000
3	სოფელი დიდი ჯიხაიში	გარე განათების მოწყობა	20 000	20 000	39000	1000
4	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი გვიმრალა	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000	144300	3700
5	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ახალსოფელი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	16 000	16 000		
6	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ჯიქთუბანი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
7	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი კეჭინარი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
8	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ოჭოფა	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	10 000		
9	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი პატარა ეწერი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
10	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მელაური	სანიაღვრე არხის გაჭრა	12 000		3900	100
		სანიაღვრე არხისთვის 2 ცალი მილ-ბოგირის (1000მმ*6მ) შეძენა			2000	0
		გარე განათების ბოძების შეცვლა			1462,5	37,5
		ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების რეაბილიტაცია			4387,5	112,5
11	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მიწაბოგირა	სკვერის შემოსაღობად აგურის შეძენა	16 000		16000	0
12	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი ხიბლარი	სპორტული მოედნის მოწყობა	16 000		15600	400
13	დაბა კულაში	გზისპირა მოსაცდელის მოწყობა	20 000		4875	125
		სპორტული მოედნის რეაბილიტაცია			14235	365

		სპორტული მოედნისთვის ბალახის საკრეჭი აპარატის შეძენა			400	0
14	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ჩხენიში	სოფელში სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების შეძენა-მონტაჟი	16 000	16 000	25000	0
		სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა			5850	150
		სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა			6825	175
15	ნაბაკევის ადმ. ერთეული/ სოფელი ნაბაკევი	გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა	16 000		9750	250
		სკვერში ატრაქციონის შეძენა-მონტაჟი			6000	0
16	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ხუნჯულაური	არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია	12 000		4875	125
		გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა			6825	175
17	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ნინუაკუთხე	სკვერის კეთილმოწყობა	16 000		15600	400
18	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი კვირიკე	სკვერის კეთილმოწყობა	12 000		11700	300
19	ღანირის ადმ. ერთეული/სოფელი ღანირი	წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა	20 000		16575	425
		სკვერის რეაბილიტაცია			2925	75
20	ღანირის ადმ. ერთეული/სოფელი ჭაგანი	გარე განათების მოწყობა	16 000		15600	400
21	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაბლა გომი	გარე განათების მოწყობა	16 000		13650	350
		ე.წ. გაღმა ჩხაიძეების უბანში გზის მოხრეშვა			1950	50
22	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი კეთილაური	გარე განათების მოწყობა	10 000		7117,5	182,5
		გზის მოხრეშვა-მოსწორება			2437,5	62,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			200	0
23	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი ცივწყალა	გზის მოხრეშვა	10 000		8775	225
		გომმუხაყრუას საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა			1000	0
24	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი გომმუხაყრუა	გარე განათების მოწყობა ე.წ. ნადირაძეების უბანში	12 000		6045	155
		სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობა ე.წ. ყენიების უბანში			4095	105
		ელექტრო წყლის ტუმბოს შეძენა			800	0
		ბეტონის 1000*500*500მმ ღარის შეძენა			800	0
		გარე განათების მოწყობა			9457,5	242,5

25	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაბლა ეწერი		10 000			
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			300	0
26	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი ზედა ეწერი	გარე განათების მოწყობა	12 000		8970	230
		გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება)			2437,5	62,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			300	0
27	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	12 000		9847.5	252.5
		5 ტონიანი პლასტმასის ავზის შეძენა			1700	0
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			200	0
28	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი მთისძირი	გარე განათების მოწყობა	16 000		15600	400
29	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაფნარი	გარე განათების მოწყობა	16 000		7800	200
		ფოლადის ემალირებული 16 ტონიანი ავზის შეძენა			6000	0
		ე.წ. ჯაშების დასახლებაში გზის მოხრეშვა			1950	50
30	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	12 000		11700	300
31	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დობირო	გარე განათების მოწყობა	10 000		7507,5	192,5
		გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება)			1950	50
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			300	0
32	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი პირველი ნიგორწღვა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
33	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი მეორე ნიგორწღვა	გარე განათების მოწყობა	10 000	10 000	19500	500
34	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი ჭოგნარი	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
35	საჯავახოს ადმ. ერთეული/სოფელი საჯავახო	გარე განათების მოწყობა	16 000	16 000	31200	800
36	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
37	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
38	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ბუღნარა	გარე განათების მოწყობა	12 000		11700	300
39	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქორეისუბანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	10 000		9750	250
40	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ვაზისუბანი	გარე განათების მოწყობა	16 000		15600	400
41	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქვემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
42	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600

43	სოფელი გორმაღალი	სპორტული მოედნის მოწყობა	16 000	16 000	31200	800
44	სოფელი გამოჩინებული	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
45	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი თხილაგანი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000		58500	1500
46	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი წიაღუბანი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
47	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი მტერჩვეული	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
48	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი ნაწილი ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
49	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი პატარა ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
50	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი დიდი ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
			660 000	220 000	859 412 (799 412 სამუშაოები)	20 588

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ჯამბურიამ, ავთანდილ სტურუამ, ზაზა ადეიშვილმა.

ნუგზარ ჯამბურია - საკითხი განხილული იყო კომისიურად და ბიუროს სხდომაზე. როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს კი არა, როგორც რიგით მოქალაქეს მაქვს ასეთი შეკითხვა - 2021 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული საკითხები ჩვენს მუნიციპალიტეტში დასრულდება თუ არა სექტემბრის თვისათვის.

გიორგი ხაჟალია - დაბრკოლება არ უნდა იყოს. ყველა პროექტი დასრულდება შესაბამის ვადებში.

ავთანდილ სტურუა - მინდა ყურადღება გავამახვილო საწრეტი არხების გაწმენდით სამუშაოებზე. სოსო ახობაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, კომუნალური მეურნეობაში გამოყოფილი იყო 5 პიროვნება, რომლებიც

ძირითადად მიმაგრებულნი იყვნენ არხების გაწმენდაზე. საკითხი არ იყო სრულყოფილად მოგვარებული, მაგრამ გარკვეული შეღავათი ქონდა მოსახლეობას. ჩვენს მუნიციპალიტეტს სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, მთა- ბორცვიანი ქალაქი გვაქვს. ხანგრძლივი და ძლიერი წვიმების დროს იტბორება ტერიტორიის და შესაბამისად მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. იქნებ, როგორმე შევძლოთ პრობლემის მოგვარება. სპეციალისტებთან ერთად დავსხდეთ მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები და გამოვნახოთ გზები საკითხის მოსაგვარებლად.

ზაზა ადეიშვილი - ვეთანხმები ბატონ ავთანდილ სტურუას მოსაზრებას. მართალია ჩვენი მუნიციპალიტეტი მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან ყველაზე დაბლა მდებარეობს, მაგრამ მოუგვარებელი საკითხი არ არსებობს. შესადგენია მთავარი კონცეფცია, მელიორატორებთან უნდა გავიაროთ კონსულტაცია. ის პასუხი, რომ ხალხი არ გვყოფნის კომუნალურში, არ არის მისაღები. პრობლემა, რომ მოგვარდეს საჭიროა ორი მიმართულებით განხორციელდეს სამუშაოები ერთი - სამტრედიაში შემომავალ ადგილებში ჩამკეტი, გადამგდები არხების გაკეთება და განახლება. ერთი გაკეთებულია იპოდრომთან. მეორე- ბაძგნარის ზედა მხრიდან არის არხი გასაახლებელი. მოსახლეობის ჩართულობაც დიდი დახმარება იქნება. ეს ჩვენი ქალაქია და ნამდვილად მოსავლელია.

> გიორგი ხაჟალია - მოსახლეობაც არ გვეხმარება პრობლემის მოგვარებაში, ვინაიდან უმრავლესობის საკუთარი სახლების წინ მდებარე თხრილი გაუწმნდავი და გაბინდული აქვს. თუმცა ეს გლობალური საკითხია, წერტილოვანი წმენდა მხოლოდ ნაწილობრივ მოხსნის პრობლემას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძე, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

> საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში.
2. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემდეგი შემადგენლობა:

1. ნუგზარ ჯამბურია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. კობა ძიძიგური - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. მანანა სირბილაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

4. შალვა არზუმანიანი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

5. მერაბ უღრელიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

6. ბადრი შენგელია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

7. გიორგი ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

8. ტარიელ დვალიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარე.

9. ემზარ შუბლაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე.

10. რაჟდენ ტორონჯაძე - ფრაქცია ,,სამტრედიელი''-ს თავმჯდომარე.

11. დავით ამაღლობელი - ფრაქცია ,,სამტრედიელი პატრიოტები''-ს თავმჯდომარე.

12. ხვიჩა ფანცულაია - ფრაქცია ,,მაჟორიტარები''-ს თავმჯდომარე.

13. ავთანდილ თადუმაძე - ფრაქცია ,,ჩვენი სამტრედია''-ს თავმჯდომარე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი გეგეშიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სამსახურში შემოვიდა 500 ზე მეტი წერილი აქედან 216 ეკუთვნოდა ეკონომიკის სფეროს, 183 სოფლის მეურნეობის სფეროს, 38 ბუნებრივი რესურსების საკითხს და ქონების განკარგვის კომისიის მიერ განხილულ იქნა 69 საკითხი.

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით მუნიციპალიტეტმა

საკუთრებაში მიიღო 33 არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელთა სავარაუდო საპრივატიზებო ღირებულებაა 75000 ათასი ლარი. ასევე მოხდა 1 სკვერის (რუსთაველის ქ. წითელ ჯვართან) და ჯიპიესით განახლება 541 ბოძზე და მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დარეგისტრირდა 222 ბოძი.

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სამსახურის მიერ 15 ლოტზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი აქედან ერთი არ შედგა. 2021 წელს აუქციონის შედეგად გაყიდული ქონებიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 53905 ლარი და იჯარიდან წელიწადში უნდა მიიღოს 39025 ლარი.

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტმა შეიძინა 105344,96 ლარის ქონება რომელთა განაწილება მოხდა სამსახურის მიერ დანიშნულების მიხედვით.

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოხდა 3 ერთეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის, იჯარით გაცემა, საიდანაც მუნიციპალიტეტმა წლის განმავლობაში უნდა მიიღოს 6820 ლარი.

ბუნებრივი რესურსების კარიერებთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე გაიცა 6 რეკომენდაცია. ჯამურად თანხმობა გაცემულია 1 000 000 კუბამეტრ ქვიშა-ხრეშზე, საიდანაც მოსაკრებლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა მოხდეს 200 000 ლარის მობილიზება სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში.

27 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შეეცვალა კატეგორია და გადაყვანილ იქნა არასასოფლოში, რითაც განმცხადებლებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა კომერციული პროექტები. 79ჰა სასოფლო -სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რომლის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 400 000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ გაქირავებული ბოძების სანაცვლოდ, შესაბამისი ინტერნეტ პროვაიდერის მიერ პოლიციის მიმდებარედ მოწყობილ ახალ სკვერში მიმდინარეობს ინტერნეტის შეყვანა რითაც მოხდება პარკით მოსარგებლებთათვის უფასო WiFi მიწოდება.

თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის აღიარების კომისიის მიერ აღნიშნულ პერიოდში განხილულ იქნა 300-მდე საქმე, სადაც აქტიურად ჩართული იყო სამსახურის შესაბამისი სპეციალისტები.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, შეფასდა დამაკმაყოფილებლად და მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 120 000 ლარს (კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ასიგნება - 48 000 ლარი; ახალგაზრდულ ღონისძიებათა ასიგნება -

30 000 ლარი; სპორტულ ღონისძიებათა ასიგნება - 42 000 ლარი).

სამსახურის მიერ მოცემულ პერიოდში განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები:

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ასიგნებაა 48 000 ლარი.

გახარჯულია - 11124.8 ლარი, დარჩენილია -36 875.20 ლარი.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის კუთხით განხორციელდა

შემდეგი ღონისძიებები:

- დამზადდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარებისათვის საინფორმაციო ბუკლეტები-850 ლარი;

- წარმატებული მოსწავლეებისა და სპორტსმენებისათვის დამზადდა სიგელები-57 ლარი;

- სხვადასხვა ფოლკლორულ ფესტივალებში მონაწილე ჯგუფებისათვის განხორციელდა ტრანსპორტირება-2380.80 ლარის;

- 8 მარტის ღონისძიებისათვის შეძენილი იქნა ყვავილები და მისალოცი ბარათები-160 ლარი;

- რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად გაშენებულ პარკში განთავსდა სარეკლამო ბანერები, რომლებზედაც მოთავსებულია გამოჩენილი სამტრედიელების სურათები , რისთვისაც დამზადდა მანათობელი ლაითბოქსების სტიკერები 14 ერთეული- 532 ლარი;

- 9 აპრილის მემორიალის შესამკობად შეძენილი იქნა გვირგვინი და ტიტები-220 ლარი;

- დამზადდა სამკერდე ნიშნები სამტრედიის მუნიციპალიტეტის ლოგოთი 165 ცალი-4950 ლარი;

- რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად გაშენებულ პარკში განთავსდა 4 ერთეული საინფორმაციო დაფა-1350ლარი;

- საგამოფენო დარბაზ „ ვარლაში“ გამოფენაში მონაწილე 5 სამტრედიელი მხატვრის ფულადი ჯილდო-625 ლარი;

ახალგაზრდობის ღონისძიებების ასიგნებაა 30 000 ლარი, გახარჯულია - 1250 ლარი, დარჩენილია -28750ლარი.

ახალგაზრდობის კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

-2020-2021 სასწავლო წლის პერიოდში სხვადასხვა ოლიმპიადებსა და პროექტებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება-1250ლარი.

სპორტულ ღონისძიებათა ასიგნებაა 42 000 ლარი, დაიხარჯა-9242 ლარი, დარჩა - 32758 ლარი.

სპორტული ღონისძიებების კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

-შეძენილი იქნა სუვენირები სამოყვარულო ფეხბურთის მუნიციპალურ ტურნირში

გამარჯვებული გუნდებისათვის -92 ლარი;

- ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილე ოლიმპიური ლიცენზიის მქონე გიორგი მელიას

ბანერის დამზადება-2400 ლარი;

- წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება-6750 ლარი;

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა მოცემულ პერიოდში პარალელურ რეჟიმში სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამინისტროების, გუბერნიისა და მოქალაქეების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მიწოდება როგორც წერილობით ასევე, ელექტრონული ფორმით. ასევე ზედამხედველობას უწევდა მისდამი დაქვემდებარებულ ააიპ-ებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა შესაბამისი სამინისტროების მიერ მოწყობილ ონლაინ ტრენინგებში.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, შეფასდა დამაკმაყოფილებლად და მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ბეჟან გეგეშიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური დაკომპლექტებულია 72 თანამშრომლით. რომელთაც ევალებათ მერიის საქმიანობის ორგანიზაციული, დოკუმენტური, საკადრო, სამართლებრივი (იურიდიული), ადმინისტრაციული და სხვა საორგანიზაციო ხასიათის უზრუნველყოფა.

მერიის ადმინისტრაციული სამსახური ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფს მერიის სამუშაო თათბირების, აგრეთვე მერის წარმომადგენლების და თანამდებობის პირების მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებას.

2021 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით ადმინისტრაციულ სამსახურში დამუშავდა და დარეგისტრირდა 894 ბრძანება (აქედან eDocument-ში 580 ბრძანება, MSDA-ში 314 ბრძანება).

შემოსული წერილებისა და განცხადებების რაოდენობამ 2021 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 6654 (აქედან eDocument-ში 4259, MSDA-ში 2395).

mms-ში დარეგისტრირდა 1037 განცხადება.

გასული წერილების რაოდენობამ შეადგინა 4440 (აქედან eDocument-ში 3142, MSDA-ში 1298).

შიდა მოხსენებითი ბარათებისა და განცხადებების ბრუნვამ შეადგინა 1862 (აქედან eDocument-ში 882, MSDA-ში 980).

2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ადმინისტრაციულ სამსახურში დარეგისტრირდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 265 განკარგულება.

2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, მომზადდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების 243 საკუთრების უფლების მოწმობა.

2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია 38 მომართვა.

პასუხი გაცემულია ყველა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია”-ს მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დადგენის მოთხოვნით მომართა ორმა მოქალაქემ. ორივე მოქალაქის თხოვნა იქნა დაკმაყოფილებული და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამტრედიის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში წარსადგენად გაიცა განკარგულება და ცნობა.

2021 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით გაცემულია 25 საკუთრების უფლების მოწმობა არაპრივატიზებულ საცხოვრებელ ბინაზე.

პროექტებთან დაკავშირებით გაიცა 45 სამშენებლო პროექტების სანებართვო მოწმობა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ გაიცა 1006 ცნობა და 2285 წერილი გაიგზავნა სხვადასხვა ორგანოებში.

მომზადდა სხვადასხვა შრომითი ხელშეკრულებების პროექტები.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება სასამართლოში აწარმოებდა 53 საქმეს, აქედან 10 საქმეზე მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი, ერთ საქმეზე ჩაანაცვლა სათანადო მოპასუხით, 40 საქმეზე მიმდინარეობს წარმოება. განყოფილებამ განიხილა ბინების უსასყიდლო პრივატიზაციის 25 საქმე, მიწის (უძრავი ქონების) იდენტურობის დადასტურების 400 საქმე, ივლისის თვეში აღნიშნული საქმეების საწარმოებლად გადაეცათ მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში. დასარეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების გაყოფა-გაერთიანების 50 საკითხი.იურიდიული განყოფილება ჩართულია მერიაში მოქმედ ყველა კომისიაში. საკრებულოში განსახილველად გადმოსული საკითხების უმრავლესობა მომზადებულია იურიდიული განყოფილების მიერ.

ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს სატენდერო კომისიის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული და ქარქცეული ხეების მოჭრასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის, ბინის საზღვრების დადგენის კომისიის, ბინების რეგისტრაციის მიზნით შექმნილი კომისიის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ოქმებისა და წერილების მომზადებას, HR-სისტემაში თანამშრომლების მონაცემების შეყვანასა და აღრიცხვას, საფოსტო მომსახურეობის უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში პერსონალური მონაცემების გაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა, ასევე აღნიშნულ პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ქონია.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, შეფასდა დამაკმაყოფილებლად და მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი